

პრესრელიზი

ენერგეტიკული კორპორაციის ლაბორატორია საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია



შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ცენტრალური ლაბორატორია, ნიდერლანდებში გამართული „ლაბორატორიათა საერთაშორისო კონკურსის“ (IIS Institute for Interlaboratory Studies) გამარჯვებულია. კონკურსში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 37 კომპანია იღებდა მონაწილეობას .

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ცენტრალური ლაბორატორიის, საგამოცდო ქიმიურმა ლაბორატორიამ „საუკეთესოს“ ტიტული მოიპოვა.

კომისიამ ლაბორატორიების ანალიზის მეთოდები და შედეგების სიზუსტე შეაფასა. კონკურსში ენერგეტიკული ზეთების, კერძოდ ტურბინის ზეთების მიმართულებით, კორპორაციის ლაბორატორია საუკეთესო აღმოჩნდა და შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი მიენიჭა .

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

